ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა მსოფლიო მწერლობის შედევრები. ბერძნულმა ლიტერატურამ განვლო აღმასვლებისა და დაქვეითების, ჟანრთა ფორმირებისა და ტრანსფორმაციის მრავალსაუკუნოვანი გზა.

რა სახე მიიღო ოცდაათსაუკუნოვანმა ბერძნულმა ლიტერატურამ თანამედროვე ეპოქაში, განვითარების რა გზას დაადგა ახალი ბერძნული მწერლობა, რა შემოინახა ანტიკურობიდან და რა სიახლეები შესთავაზა მკითხველს - „ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში“ პასუხებს გასცემს ამ და კიდევ მრავალ სხვა შეკითხვას.

პროგრამა ლოგოსი

ISBN 978-9941-98-57-4-4

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●

პროგრამა „ლოგოსი“

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

2024
თბილისი

ΔΟΚΙΜΙΑ ΓΙΑ ΤΗΝ ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗ ΛΟΓΟΤΕΧΝΙΑ

Επιμέλεια: Μήδεια Αμπουλασβίλι, Σοφία Σιαμανίδου, Άνι Τσικοβάνι

Δεύτερη, συμπληρωμένη έκδοση

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

რედაქტორები: მედეა აბულაშვილი, სოფიო შამანიდი
ანი ჩიქოვანი

მეორე, შევსებული გამოცემა

წინამდებარე წიგნი გამოიცა კოსტას და ელენი ურანისების ფონდის ხელშეწყობით
Το βιβλίο εκδόθηκε με την συμβολή του Ιδρύματος Κώστα και Ελένης Ουράνη

წიგნი მომზადდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის და საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის (ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის წევრი) თანამშრომლობით
Το βιβλίο είναι προϊόν συνεργασίας του Ινστιτούτου Κλασικών, Βυζαντινών και Νεοελληνικών Σπουδών του Κ.Π.Τ. και της Γεωργιανής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών (μέλος της Ευρωπαϊκής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών)

ყდის დიზაინი: **ქეთევან ცინცაძე**

Εξώφυλλο: **Κετεβάν Τσιντσάτζε**

დაკაბადონება: **ირინე სტროგანოვა**

ISBN 978-9941-98-57-4-4

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 0179
ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81
ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

წინამდებარე კრებულის მსგავს გამოცემებს, როგორც წესი, მიძღვნაც აკადემიური ახლავს ხოლმე. ჩვენს შემთხვევაში აკადემიურ წონასწორობას ტკივილმა და მონატრებამ სძლია.

სხვადასხვა თაობის ქართველი ნეოგრეცისტები – მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები – ჩვენი ერთობლივი ნაშრომის ყველა გვერდს, აბზაცს, ხაზს, აზრს, ფიქრს თუ ემოციას

ვუძღვნით **მაკა ქამუშაძეს**

– გამორჩეულ ქართველ ნეოელინისტს, რომელსაც ჩვენთან ერთად ბევრი უნდა ეთქვა თავისი საოცარი ენერგიითა თუ ენერგეტიკით, ნიჭითა და ცოდნით, კვლევებითა და ნაშრომებით... ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით კიდევ უფრო მეტი გვითხრა და გვასწავლა.

წელს 50 წლის გახდებოდა...

სარჩევი

წინასიტყვაობა 9

„დიგენის აკრიტასი“, *ელისო ელიზბარაშვილი* 12

კრეტული რენესანსი, *სოფიო შამანიდი* 22

ბერძნული ხალხური სიმღერები, *მედეა აბულაშვილი* 45

ბერძნული განმანათლებლობა, *სვეტლანა ბერიკაშვილი, სოფიო შამანიდი* 59

იანის მაკრიანისი – სახალხო მუზა, *თამარ ბაკურაძე* 72

ბერძნული რომანტიზმი, *თეა გამრეკელი, ქეთევან ცინცაძე* 80

დიონისიოს სოლომოსი, *თეა გამრეკელი* 95

ყოფითი ჟანრის მოთხრობა, *ეკატერინე ლორთქიფანიძე, მედეა აბულაშვილი* 105

კოსტის პალამასი და 80-იანელთა თაობა, *მაკა ქამუშაძე* 141

კონსტანტინოს კავაფისი, *თეა გამრეკელი* 156

ანგელოს სიკელიანოსი, *სალომე ჯაფარიძე* 173

ნიკოს კაზანძაკისი, *ზურაბ ვაჩეიშვილი* 185

ნეორომანტიზმისა და ნეოსიმბოლიზმის ათენური სკოლა, *მაია კაკაშვილი* 207

კოსტას კარიოტაკისი, *მაია კაკაშვილი, ქეთევან ცინცაძე* 228

გიორგოს სეფერისი, *სოფიო შამანიდი* 240

1930-იანი წლების პროზა, *ანი ჩიქოვანი, მედეა მეტრეველი* 250

იანის რიცოსი, *ანნა ბერიშვილი, სოფიო შამანიდი* 306

ბერძნული სიურეალიზმი, *მაკა ქამუშაძე, სოფიო შამანიდი* 312

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროზა,
თეა გაფრინდაშვილი 343

კოსტას ტახცისი, *ანინა გოგოხია* 361

მელპო აქსიოტი, *თამარ მღებრიშვილი* 366

რეა ღალანაკი, *სალომე გვენცაძე* 373

კოსტას მონტისი, *ნანა ტოხვაძე* 385

თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, *ნინო დვალიძე* 392

დიმიტრის ნოლასი, *ანი ჩიქოვანი* 399

1980-1990 წლების ბერძნული პოეზია, *ევრიპიდის ღარანტუდისი* 415

ქალის ხმა ახალბერძნულ პოეზიაში, *მედეა აბულაშვილი* 424

შესავალი ახალბერძნულ დრამატურგიაში, *გეორგია დიმოპულუ* 438

იაკოვოს კამბანელისი, *ქეთევან ცინცაძე, სოფიო შამანიდი* 447

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. წიგნის შედგენისას მისმა ავტორებმა ბევრი იფიქრეს, თუ რა ეპოქიდან უნდა დაეწყოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის განხილვა. საქმე ისაა, რომ დღემდე ლიტერატურათმცოდნეობაში არ არის აზრთა ერთიანობა იმაზე, თუ რა ეპოქიდან ემიჯნება ახალი ბერძნული ბიზანტიურ ლიტერატურას და როდიდან იწყებს მისგან დამოუკიდებლად, ავტონომიურად განვითარებას. თუკი ევროპული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებისთვის ცნებას „ახალი“ სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს და იგი გულისხმობს ლიტერატურას, რომელიც XIX საუკუნიდან იწყება და აღწევს XIX საუკუნის მიწურულამდე ან XX საუკუნის დასაბამამდე, ბერძნული ლიტერატურის შემთხვევაში ამ ტერმინს რამდენადმე განსხვავებული დატვირთვა ენიჭება.

ბერძნული ლიტერატურის ისტორია მოიცავს ძალზე დიდ მონაკვეთს ჰომეროსიდან თანამედროვე მწერლობამდე. აქ ტრადიციულად სამ ძირითად ეტაპს გამოჰყოფენ: ანტიკურს, ბიზანტიურსა და ახალ ბერძნულს. თუკი ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურების განსასხვავებლად მეცნიერებს მეტ-ნაკლებად მყარი არგუმენტები გააჩნიათ, რომლებიც ძირითადად იდეოლოგიურ საფუძველს ეფუძნება, ბევრად უფრო რთულად არის საქმე, როდესაც გვინდა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბიზანტიური ლიტერატურის უკანასკნელი საუკუნეების და ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველი საუკუნეების ძეგლები, კერძოდ კი განვსაზღვროთ, საიდან იწყება ახალი ბერძნული ლიტერატურა. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურის საწყისების მოწყვეტა ბიზანტიური ეპოქიდან ყოვლად შეუძლებელია, ხოლო იმის დადგენა, თუ რა უნდა მივიჩნიოთ საკუთრივ ახალი ბერძნული ლიტერატურისათვის დამახასიათებლად და რა – ბიზანტიურისთვის, ერთობ საკამათოა. საკმარისია თვალი გადავავლოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებს, რომ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ სირთულეს წარმოადგენს ახალი ბერძნული ლიტერატურის პერიოდიზაცია. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ პირველი ძეგლები ახალი ბერძნული ლიტერატურისა უკვე X-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში დასტურდება. ზოგნი ამ

თარიღს უკავშირებენ ბიზანტიის იმპერიის დაცემის წელს. მკვლევართა მცირე ჯგუფი თვლის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა, ისე როგორც სხვა ევროპული ლიტერატურები, XIX საუკუნეში, საბერძნეთის მიერ თავისუფლების მოპოვების შემდგომ იწყება.

მკვლევარნი, რომელნიც იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა უკვე ბიზანტიის ფარგლებში, X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ამ ლიტერატურის გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად ასახელებენ ლიტერატურაში ახალი ბერძნული ენის დამკვიდრებას, ძველი პროსოდიის კანონების უგულებელყოფას და სილაბურ ლექსზე გადასვლას, გამომსახველობითი ხერხების თავისებურებას, თემატურ განახლებას და ეროვნული, ბერძნული თვითშეგნების წინა პლანზე წამოწევას.

ეს არგუმენტები არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მკვლევართა ნაწილი ყოველივე ამას მიიჩნევს სრულიად ორგანულ მოვლენად ბიზანტიური ლიტერატურისათვის. თუმცა ჩვენ მაინც ამ მეცნიერთა მოსაზრებას გავითვალისწინებთ და ჩვენ ნარკვევებს იმ ტექსტით დავიწყებთ, რომელსაც ნეოგრეცისტები ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველ ძეგლად მიიჩნევენ – ეპოსს დიგენის აკრიტასზე.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო წიგნის სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში გამოსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები ხშირად ჟანრების განვითარების პრინციპზეა აგებული, ჩვენ მაინც ტრადიციულ მეთოდს მივანიჭეთ უპირატესობა და სახელმძღვანელოს აგებისას გამოვიყენეთ ქრონოლოგიური პრინციპი. შევეცადეთ სრულად მოგვეცვა ახალი ბერძნული ლიტერატურა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მკითხველისთვის ყველა მწერლისა თუ პოეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამ ხარვეზის გამოსწორება შემდეგ გამოცემებში იქნება შესაძლებელი. ყოველ თავს ერთვის სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ძირითადი ნაწარმოებების ნუსხა, რომელიც გაუადვილებს სტუდენტებს ამა თუ იმ ავტორზე მასალის მოძიებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. ნარკვევების ავტორები არიან ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლები და კურსდამთავრებულები. ავტორთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ევრიპიდის ღა-

რანტუდისს, ათენის უნივერსიტეტის პროფესორს და გეორგია დიმოპულუს, პატრის უნივერსიტეტის მკვლევარს, რომელთაც ასევე მიიღეს მონაწილეობა სახელმძღვანელოს შედგენაში.

სოფიო შამანიდი

ლიტერატურის ისტორიები:*

პოლიტისი ლ., *ახალი ბერძნული ლიტერატურის მოკლე ისტორია*, ბიბლიოგრაფია, დანართი, ბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიდმა, თბილისი, 1999.

Βαλέτας Γ., *Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα, 1966;

Βουτιερίδης Ηλ. Π., *Σύντομη ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας (1000-1930)*, 3η έκδοση με συμπλήρωμα Δ. Γιάκου (1931-1976), Αθήνα, 1976;

Δημαράς Κ. Θ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας (από τις πρώτες ρίζες ως την εποχή μας),* Αθήνα, 1975;

Καλαματιανός Γ.Ν., *Σύντομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας,* Βιβλιοπωλείον της Εστίας, Αθήνα, 1980;

Μητσάκης Κ., *Εισαγωγή στη νέα ελληνική λογοτεχνία: πρωτονεοελληνικοί χρόνοι,* Καρδαμίτσας, Αθήνα, 1989;

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Ανάλεκτα νεοελληνικής φιλολογίας,* Νεφέλη, Αθήνα, 1995

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η νεοελληνική σύνθεση. Θέματα και κατευθύνσεις της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1999;

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Προοπτικές και προσεγγίσεις. Μελέτες νεοελληνικής φιλολογίας,* Νεφέλη, Αθήνα, 1991;

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η παρουσία των κειμένων. Ερμηνευτικές και ιστορικές αναγνώσεις έργων της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Καστανιώτης, Αθήνα, 2002;

Πολίτης Α., *Εγχειρίδιο του Νεοελληνιστή. Βιβλιογραφίες, λεξικά, εγχειρίδια, κατάλογοι, ευρετήρια, χρονολόγια κ.ά.,* Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης, Ηράκλειο, 2002;

Πολίτης Λ., *Συνοπτική Ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας.* Βιβλιογραφία, Επίμετρο, Θεσσαλονίκη, 1977;

Πολίτης Λ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας,* Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα, 1985;

Τσακόνας Δ., *Επίτομη ιστορία της Νεοελληνικής λογοτεχνίας,* Αθήνα, 1999;

Beaton R., *Εισαγωγή στη νεότερη ελληνική λογοτεχνία*, μτφρ.: Ε. Ζούργου – Μ. Σπανάκη, Νεφέλη, Αθήνα, 1996;

Vitti M., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας,* Οδυσσέας, Αθήνα, 1978.

* ბიბლიოგრაფია გადმოტანილია ბერძნული ვებ-გვერდიდან: www.philology.gr.

ანნა ბერიშვილი
სოფიო შამანიდი

იანის რიცოსი

იანის რიცოსი მსოფლიოში აღიარებული ერთ-ერთი უდიდესი ბერძენი პოეტია. საბერძნეთში მის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო – ზოგი პოეტს მძაფრად აკრიტიკებდა და მის შემოქმედებას „σκουπιδολόγια“-დ („ნაგვად“) მოიხსენიებდა, ზოგი კი გენიალურად მიიჩნევდა.

ამ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას პოეტის პოლიტიკური შეხედულებები განაპირობებდა. საქმე ისაა, რომ 1934 წლიდან ის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი სწორედ ამ პარტიის სამსახურში ჩააყენა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის არაერთი სხვა პოეტი იზიარებდა მემარცხენეთა იდეოლოგიასა და კომუნისტურ იდეებს, რიცოსს ბერძნულმა საზოგადოებამ ეს ვერ აპატია. შემოქმედების დიდი ნაწილი მართლაც პროპაგანდისტული ხასიათის იყო („ტრაქტორი“ 1934, „პირამიდები“ 1935 და სხვ.). პოეტი არ ერიდებოდა მარქსის, ლენინისა და სტალინის სადიდებელ ლექსების წერას, ხოლო თავის თანამოკალმედ ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ნაზიმ ჰიკმეთს მიიჩნევდა.

იანის რიცოსი ნამდვილი „გრამოფონი“ იყო – არ გადიოდა დღე, ერთი ლექსი მაინც რომ არ დაეწერა. ამგვარი შრომისმოყვარეობა დასაფასებელი იქნებოდა, განურჩევლად ყველაფერი რომ არ ექვეყნებინა. რაც არ უნდა დიდი პოეტი იყო, შეუძლებელია ყველა ლექსი შედევრი იყოს – რაღაც უნდა „დაიწვას“. ეს კი მიუღებელი იყო რიცოსისათვის. შედეგად, მივიღეთ პოეზია, რომელშიც უამრავი განმეორება, ტავტოლოგია, სტრუქტურული გაუმართაობა, თემატური ერთფეროვნება და ბოლოს, მძაფრი კომუნისტური იდეოლოგია იყო. რიცოსის კალამს ეკუთვნის 200-მდე პოეტური კრებული. მის გარდაცვალებამდე დაახლოებით 90-მდე პოეტური კრებული და კრებულთა ტომები, 4 თეატრალური პიესა, 6 რომანი და 1 კვლევების კრებული გამოიცა.

ერთ-ერთი აქტუალური საკითხი რიცოსის შემოქმედების განხილვისას მისი პოეზიის ორგვაროვნებაა. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ეს არის, ერთი მხრივ, იდეოლოგიზირებული, ხოლო მეორე მხრივ, ღრმად ეგზისტენციალური პოეზია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს,

რომ თუკი პოეტის შემოქმედების პირველ ეტაპზე ეს ორი ტენდენცია თანაარსებობდა, უკვე მოწიფულ ასაკში რიცოსი მეტად იხრება ეგზისტენციალიზმისაკენ. აშკარაა „მარადიულის“ უპირატესობა „აქტუალურსა“ თუ ყოველდღიურზე.

იანის რიცოსი დაიბადა 1909 წლის 1 მაისს საბერძნეთში, ქალაქ მონემვასიაში, მრავალშვილიან და შეძლებულ ოჯახში.

ადრეული ასაკიდან გამოიკვეთა პოეტის მიდრეკილება ხელოვნებისადმი, სწრაფად აითვისა ხატვა, ფორტეპიანოზე დაკვრა. ლექსების წერა კი, როგორც თავად აღნიშნავდა, შვიდი წლის ასაკიდან დაიწყო.

12 წლის ასაკში ტუბერკულოზით დაეღუპა ძმა და დედა. ამ ტრაგედიის მერე თავის დასთან, ლულასთან ერთად, მონემვასიიდან ათენში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მბეჭდავად და კონტრაქტების გადამწერად დაიწყო მუშაობა ეროვნულ ბანკში. მალე პოეტის ჯანმრთელობა შეირყა – მასაც ტუბერკულოზი დაუდგინდა.

სიცოცხლის ბოლომდე, მისი ავადმყოფობის გამო, იგი არაერთხელ იქნა მოთავსებული სხვადასხვა საავადმყოფოსა და სანატორიუმში. სწორედ საავადმყოფოში გაიცნო მან ბერძენი პოეტი ქალი მარია პოლიდური 1927 წელს.

1934 წელს რიცოსი საბერძნეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. სწორედ მაშინ გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული სახელწოდებით „ტრაქტორი“. ამავე დროს, პოეტმა გაზეთში „რიზოსპასტისი“ დაიწყო რუბრიკის „წერილები ფრონტისათვის“ გამოქვეყნება.

1936 წლის 9 მაისს საბერძნეთში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა რიცოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. თამბაქოს მუშაკთა დიდი საპროტესტო აქციისას, პოლიციამ აქციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც დაშავდა და დაიღუპა უამრავი ადამიანი, მათ შორის, 25 წლის ავტომრბოლელი ტასოს ტუსისი.

მეორე დღეს, გაზეთ „რიზოსპასტისმა“ გამოაქვეყნა სურათი, სადაც ტასოს ტუსისის დედა შვილის ცხედარს დასტირის მარტოდმარტო, ვენიზელოსა და ეგნატიას ქუჩების კვეთაზე. პოეტზე იმდენად იმოქმედა ამ სურათმა, რომ სამი დღის განმავლობაში სხვენში ჩაიკეტა. სწორედ ამ დროს დაიწერა მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ეპიტაფია“.

მომდევნო წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა პოეტისთვის – მისი მამა და და ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს, ხოლო თავად მას კვლავ პარნითასის სანატორიუმში მოუწია მკურნალობა.

საბერძნეთში გერმანული ოკუპაციის დაწყებისთანავე რიცოსი, მისი ავადმყოფობის მიუხედავად, წინააღმდეგობის ჯგუფის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ფრონტის წევრი გახდა და ჯგუფის მიერ წარმოებულ საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაება. ამ პერიოდში იანის რიცოსის შემოქმედების ძირითადი თემატიკა თანამედროვე მოვლენებს უკავშირდება.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ქვეყანაში მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის შიდა დაპირისპირება დაიწყო, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ამის შედეგად სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა და 1949 წელს მემარცხენეების დევნამ პიკს მიაღწია.

რიცოსი, როგორც მემარცხენე, დააპატიმრეს და შემდეგ გადაასახლეს, თუმცა მას წერა არ შეუწყვეტია. გადასახლებაში ყოფნისას დაასრულა მნიშვნელოვანი პოეტური ტექსტები, რომლებიც შესულია კრებულში „გადასახლების დღიურები“. ეს კრებული მან დის დახმარებით გაავრცელა.

გადასახლებაში ყოფნისას პოეტი აქტიურად განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას. მისი „წერილი ზოლიო კიურის“ ცნობილი ხდება საზღვარგარეთ და ლიტერატორების დიდ ინტერესს იწვევს. ისინი აპტოტესტებენ რიცოსის გადასახლებას და საბერძნეთის სახელმწიფოსგან მის გათავისუფლებას ითხოვენ. მართლაც, 1952 წლის აგვისტოში, პოეტს ათავისუფლებენ.

1967 წლის 21 აპრილს, როდესაც საბერძნეთში საგანგებო ვითარება გამოცხადდა და ხუნტის მმართველობა დამყარდა, იანის რიცოსი კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს. ამ პერიოდში იწყებს იგი კრებულში „მეოთხე განზომილება“ შემავალი მონოლოგების წერას.

გადასახლების შემდეგ პოეტი კუნძულ სამოსზე გაემგზავრა, სადაც შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. იქ დაასრულა თავისი კრებული „მოაჯირი“, რომელშიც აღწერილია ის საშინელი პოლიტიკური ვითარება, რაც იმ ეპოქაში სუფევდა.

მიუხედავად იმისა, რომ რიცოსი სრულიად მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს (მიმოწერის უფლებაც კი არ ჰქონდა), მისი სამი კრებული („ქვები“, „განმეორებები“ და „მოაჯირი“, რომლებიც თამბაქოს გასახვევ ქაღალდებზე დაწერა 1969 წელს, ფილოლოგმა და მწერალმა ხრისა პროკოპაკისმა საბერძნეთიდან საფრანგეთში ფარულად გაგზავნა.

1970 წელს რიცოსი ლონდონის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალზე მიიწვიეს საპატიო სტუმრის სტატუსით. საბერძნეთის შინაგან

საქმეთა მინისტრმა სტილიანოს პატაკოსმა ის თავის კაბინეტში დაიბარა და გააფრთხილა, რომ საბერძნეთში არსებულ ვითარებაზე არაფერი ეთქვა. რიცოსის მხრიდან უარის მიღების შემდეგ, ეს მოგზაურობა აღარ შემდგარა.

ხუნტის მმართველობა 1974 წელს დასრულდა. მომდევნო წლები პოეტისათვის აღიარების პერიოდია. იგი იღებს უამრავ ჯილდოს და ცნობილი ხდება ფართო საზოგადოებისთვის. მედია აქვეყნებს მის სტატიებს, ფოტოებს. ამდენი დევნის, გადასახლებისა და ტანჯვის შემდეგ, პოეტის თანამდევი ხალხის სიყვარული ხდება. იგი იწყებს მოგზაურობას საზღვარგარეთ.

იანის რიცოსი 1990 წლის 11 სექტემბერს გარდაიცვალა. იგი თავის მშობლიურ ქალაქში, მონემვასიაში დაკრძალეს.

იანის რიცოსი, სამწერლო ასპარეზზე გამოჩენის დღიდან (1924 წელი), აქტიურად ეხმიანებოდა მის ეპოქაში მიმდინარე მოვლენებს. იგი ამა თუ იმ სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენას პოეტურ მასალად აქცევდა და მასში საკუთარი სულის ტკივილსაც აქსოვდა.

ხრისა პროკოპაკისი იანის რიცოსის შემოქმედებაში შემდეგ პერიოდებს გამოჰყოფს:

• 1930-1936 წლები – ამ პერიოდში რიცოსი წერს მცირე ზომის ლექსებს, რომლებიც გაჟღენთილია ნეორომანტიკულ-ნეოსიმბოლური პოეზიის ელემენტებით. ეს პერიოდი გამოირჩევა სტროფული მრავალფეროვნების ძიებით. ფაქტობრივად, ეს წლები რიცოსის პოეტური დახელოვნების პერიოდს წარმოადგენს.

• 1937-1943 წლები – ეს არის ლირიკული აფეთქების პერიოდი, როდესაც იწერება თავისუფალი ლექსი. ფერწერული წარმოსახვა თამამად აერთიანებს ბუნების ელემენტებს სოციალური ცხოვრების პრობლემებთან. ჩნდება ნაცნობი „ყოველდღიური“ ენა და დიდტანიანი ნაწარმოებები, რომელიც მის შემდგომ პოეზიას ახასიათებს.

• 1944-1955 წლები – ამ პერიოდს ბრძოლისა და გადასახლების დროინდელი ლექსები განეკუთვნება და მისი ცხოვრების ყველაზე რთულ წლებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსების ფორმა ერთმანეთისგან განსხვავდება, მათ თემატური აქტუალობა და ახალი ისტორიული გამოცდილების გადმოცემა აერთიანებთ.

• 1956-1966 წლები – სწორედ ამ პერიოდში იწყებს იანის რიცოსი თავისი ცნობილი კრებულის „მეოთხე განზომილების“ წერას, რომელიც თეატრალური მონოლოგებისგან შედგება. ეს არის პოეტური კრებული,

სადაც სრულიად გამქრალია პათეტიკა და კომუნისტური შემართება. კრებული მძაფრად პესიმისტური და ამავედროულად, ირონიულია. კრიტიკოსთა აზრით, ამ კრებულში მრავლად არის გაბნეული პოეტის ავტობიოგრაფიული ელემენტებიც. უკვე მომწიფებული პოეტის ეს შემობრუნება სრულიად გასაგები ხდება, თუკი გავითვალისწინებთ რიცოსის ძალზედ რთულ და ტრაგიკულ ცხოვრებას. მანამდე ანთებული, შემართული, მოწოდების ხასიათის მქონე პოეზიიდან რიცოსი რადიკალურად პესიმისტურისკენ იხრება. ამ ეპოქიდან იწყება ანტიკურობის მასშტაბური შემოსვლა იანის რიცოსის პოეზიაში. „მეოთხე განზომილების“ პროტაგონისტი თითქმის ყოველთვის ანტიკური ლიტერატურის პერსონაჟია.

• 1967-1971 წლები – ამ პერიოდის შემოქმედება მწერლის მსოფლმხედველობისა და განწყობის ცვლილებას გვიჩვენებს. მის შემოქმედებაში სარკაზმი და ირონია იჭრება, აბსურდის არსებობაც აშკარაა. ამ წლების პოეზიის ძირითადი თემა აბსურდული ცხოვრებისა და სიკვდილის თემატიკითაა გაჟღენთილი.

1972-1983 წლები – ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია პოსტსიურრეალისტური, ექსპრესიონისტული თხრობა, სადაც სალიტერატურო ენა ხალხურ ენასთანაა შერწყმული. პოეტი უგულებელყოფს ლოგიკურ და დროით თანმიმდევრობას. ქმნის სამყაროს, სადაც ადამიანები, ცხოველები და საგნები უმართავად თანაარსებობენ. ამ პერიოდის ნაწარმოებებში გადმოცემულია პოეტის მოგონებები ბავშვობიდან სრულწლოვანებამდე. ავტობიოგრაფიული მასალა ისტორიასთანაა გადაჯაჭვული.

იანის რიცოსის შემოქმედება გამოირჩევა მდიდარი ენით, ამაღელვებელი თხრობითა და მხატვრული გამოსახვის საშუალებების, მეტაფორებისა და შედარებების სიუხვით, რომლებიც ხან სიმბოლოებადაა გამოყენებული, ხან კი ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული უნიკალური, რეალისტური, პოეტური პეიზაჟის ამსახველია. რიცოსის ნაწარმოებები, დიდი კომპოზიციები თუ მოკლე ლექსები, ადამიანის ბედისწერასა და ადამიანურ სირთულეებს ასახავს.

სამეცნიერო ლიტერატურა:

Κακλαμανάκη Ρ., *Γιάννης Ρίτσος, η ζωή και το έργο του*, Πατάκης, Αθήνα, 1999;

Κόκορης Δ. *Με αφορμή το „Επιλογικό του Γιάννη Ρίτσου“, περ. Το Δέντρο, τχ.169-170,* Αθήνα, 2009;

Προκοπάκη Χ., *Ανθολογία Γιάννη Ρίτσου (επιλογή Χρύσα Προκοπάκη, επιμ. Χρύσα Προκοπάκη, Αικατερίνη Μακρυνικόλα),* Κέδρος, Αθήνα, 2000;

Φραγκούλης Ν., *Επαναλήψεις – λέει, – επαναλήψεις δίχως τέλος. – Τι κούραση, Θέ μου* περ. Το Δέντρο, τχ.169-170, Αθήνα, 2009.

ნაწარმოებები

Ρίτσος Γ., *Ποιήματα, Τόμος Α'*, Κέδρος, Αθήνα, 1961

Ρίτσος Γ., *Ποιήματα, Τόμος Β'*, Κέδρος, Αθήνα, 1961

Ρίτσος Γ., *Τέταρτη Διάσταση,* Κέδρος, Αθήνα, 1990;